

# ABOUT HIV

## აივი და სქესობრივი კავშირი


აივით ინფიცირებას შეუძლია არაერთგვაროვანი ზეგავლენა მოახდინოს სქესობრივი კავშირის მიმართ დამოკიდებულებაზე.

ზოგი შეშფოთებულია აივ-ის გადევნის გამო, ზოგი თავს ნაკლებად სასურველად მიიჩნევს. ზოგი ადამიანი აღარ ცხოვრობს სექსუალური ცხოვრებით, ზოგი კი პირიქით უფრო მიიღწვის ინტიმური კავშირისკენ.

ამ დროს თითქოს უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ის, რომ რომ თავი იგრძნოთ სასურველად, განიცადოთ ინტიმურობის და სიამოვნების წუთები.

მნიშვნელოვანია იცოდეთ:

- აივ-ის მქონე ადამიანების უმრავლესობა აგრძელებს სექსუალურ ცხოვრებას და ურთიერთობების დამყარებას.
- აივ-ის მქონე ადამიანებს შეიძლება ყავდეთ შვილები, რომელთაც არ აქვთ აივი.
- თუ აივ-ის მკურნალობა სრულიად ეფექტურია, სავარაუდოდ თქვენ არ გადასცემთ აივ-ს თქვენს სექსუალურ პარტნიორს.
- თუ თქვენ იყენებთ კონდომებს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ თქვენ გადასცეთ აივი თქვენს სექსუალურ პარტნიორს.



## თქვენი რეპროდუქციული

### ჯანმრთელობა

კონდომები მნიშვნელოვანია თქვენი ჯანმრთელობისათვისაც - ისინი გიცვენ სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებისაგან. ზოგი ინფექციების, მაგალითად სიფილისის და C ჰეპატიტის მკურნალობა შეიძლება გართულდეს აივ-ით ინფიცირების შემთხვევაში. თქვენი თხოვნით თქვენმა კლინიკამ შეიძლება უზრუნველყოს თქვენი სექსუალური ჯანმრთელობის რეგულარული შემოწმებები.

კონტრაცეპციის გამოყენებისას უნდა გაითვალისწინოთ აივ-მკურნალობა. ზოგ აივ-საწინააღმდეგო მედიკამენტს შეიძლება გააჩნდეს ურთიერთქმედება აბებთან ან სხვა ჰორმონალურ კონტრაცეპტივებთან.

## ფაქტები ინფექციის გადაცემის

### შესახებ

ანალური და ვაგინალური სექსი წარმოადგენს აივ-ის გადაცემის ყველაზე გავრცელებულ გზას.

სექსის სხვა სახეობისას აივ-ის გადაცემის რისკი ბევრად უფრო მცირეა. იხილეთ მეტი ინფორმაცია ქვემოთ.

ანალური ან ვაგინალური სქესობრივი კავშირის დროს კონდომების გამოყენებისას აივ-ის ტრანსმისიის რისკი თითქმის არ არსებობს. კონდომები აფერხებენ აივ-ის შემცველ სხეულის სითხეების ერთი პირიდან მეორეზე გადაცემას. წყალზე ან სილიკონზე დაფუძნებული ლუბრიკანტების გამოყენება ზრდის კონდომების დამცავ მექანიზმს.

ანალოგიურად, თუ თქვენ ღებულობთ აივ-ის მკურნალობას და გაქვთ ვირუსული დატვირთვის არაგამოვლენადი დონე, თითქმის არ არსებობს იმის ალბათობა, რომ თქვენ გადასცეთ აივი სექსუალური კონტაქტის დროს. ვირუსული დატვირთვის არაგამოვლენადი დონე ნიშნავს ორგანიზმში აივ-ის მიზერული რაოდენობით არსებობას.

აივ-ის გადაცემის რისკის ძალიან დაბალია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების არსებობისას:

[www.pro-vich.info](http://www.pro-vich.info) და [www.about-hiv.info](http://www.about-hiv.info) შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუზვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების

მიზნით. თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCr-u (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: [www.about-hiv.info](http://www.about-hiv.info); [www.pro-vich.info](http://www.pro-vich.info); [www.aidsmap.com](http://www.aidsmap.com) UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220

# ABOUT HIV

## აივი და სქესობრივი კავშირი

- სისხლის ტესტი აჩვენებს, რომ თქვენი ვირუსული დატვირთვა არის არაგამოვლენადი რამდენიმე თვის განმავლობაში.
- თქვენ ღებულობთ აივი-ის საწინააღმდეგო მედიკამენტების სწორ რაოდენობას და სათანადო დროს.
- თქვენ არ გაქვთ სქესობრივი გზით გადამდები რაიმე დაავადება.
- თქვენს პარტნიორს არ აქვს სქესობრივი გზით გადამდები რაიმე დაავადება.

კვლევები აჩვენებს, რომ აივი-ის მკურნალობა ამცირებს რეგულარული პარტნიორისათვის აივი-ის გადაცემის რისკს 96%-ით.

თქვენს ექიმს შეუძლია მოგცეთ თქვენ და თქვენს პარტნიორს უფრო დეტალური რჩევა კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.

### დაბალი რისკი და რისკის არარსებობა

დაუცველ ანალურ და ვაგინალურ სექსთან შედარებით გაცილებით უფრო დაბალია აივი-ის გადაცემის რისკი სექსის სხვა სხეულისას.

ორალური სექსი მოიაზრება დაბალი რისკის შემცველად. თუ თქვენ მამაკაცი ხართ და თქვენ ვირუსული დატვირთვის მაღალი დონე გაქვთ არსებობს ტრანსმისიის მცირე ალბათობა პარტნიორის პირში ეაკულაციის დროს. თუ თქვენ აივი-ინფიცირებული ქალი ხართ, პრაქტიკულად არ არსებობს იმის რისკი, რომ თქვენ გადასცეთ სხვას ვირუსი ორალური სექსის დროს.

პრაქტიკულად არ არსებობს რისკი ორმხრივი მასტურბაციის დროს (პენისზე, ვაგინაზე ან ანუსზე შეხება). შეუძლებელია აივი-ის გადაცემა კოცნით, ჩახუტებით ან დარტყმით.

ასევე, არ არსებობს გადაცემის რისკი ჩვეულებრივი სოციალური კონტაქტის დროს. არავინ არასდროს არ დაინფიცირებულა აივით:

- საყოფაცხოვრებო ნივთების, როგორცაა ფინჯანი, თეფში ან დანა-ჩანგალი, გამოყენებისას

- იმავე ტუალეტის გამოყენებისას, რომელსაც აივი-ინფიცირებულები იყენებენ, ან
- აივი-ინფიცირებულთან ერთად იმავე ჰაერის ჩასუნთქვისას.



### ექსპოზიციის შემდგომი

### პროფილაქტიკა

თუ თქვენ შეწუხებული ხართ იმის გამო, რომ შესაძლოა თქვენ ახლახან მოახდინეთ აივი-ის ექსპოზიცია (მაგალითად კონდომის გარეშე დაუცველი სექსი, ან კონდომის დაზიანება) ხელმისაწვდომია ურგენტული მკურნალობა, რომელსაც ექსპოზიციის შემდგომ პროფილაქტიკას უწოდებენ.

ეს არის მკურნალობა ანტირეტროვირუსული პრეპარატებით, რომელიც უნდა დაიწყოს რაც შეიძლება სწრაფად ექსპოზიციის შემდეგ - რაც ადრე, მით უკეთესია და აუცილებლად 72 საათის ფარგლებში (სამი დღე). ამ მკურნალობას შეუძლია მოახდინოს აივი-ის გადაცემის პრევენცია.

ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკური კურსი შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს აივი-კლინიკებში ან საავადმყოფოს გადაუღებელი დახმარების განყოფილებებში.

### აივი და კანონმდებლობა

ზოგ ქვეყნებში აივი-ის გადაცემისათვის ან კონდომის გარეშე სქესობრივი კავშირისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა. სიტუაცია განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში და დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობაზე. ამის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია საინფორმაციო მასალის აივი-ის და ადამიანების უფლებების ნაწილში.

[www.pro-vich.info](http://www.pro-vich.info) და [www.about-hiv.info](http://www.about-hiv.info) შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ გაუზიარებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების

მიზნით. თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCRU-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: [www.about-hiv.info](http://www.about-hiv.info); [www.pro-vich.info](http://www.pro-vich.info); [www.aidsmap.com](http://www.aidsmap.com) UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220